SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლა

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

აგრონომია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრონომიის ბაკალავრი 0101

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს, მომზადდეს აგრონომიის ბაკალავრი, რომელიც იქნება ორიენტირებული, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. მას ექნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. ეცოდინება საქართველოში და მსოფლიოში გავრცელებული ძირითადი სასოფლო- სამეურნეო კულტურები, მათი კულტივირების აგროტექნიკური წესები და ნორმები, ასევე ბიოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები.

დასაქმების სფეროები

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ფართო დასაქმების არეალი. კერძოდ:

- მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობები;
- სასათბურე ფერმერული მეურნეობები;
- აგროსაკონსულტაციო ცენტრები/კომპანიები;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა რეგიონალური სამმართველო;
- სავაჭრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო;
- სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოები და კომპანიები;
- აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; სახელმწიფო/კერძო კვლევითი და საკონსულტაციო და მომსახურების (სერვის სამსახურები;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (საჯარო სკოლები);
- შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას ფერმერული მეურნეობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების და და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება

საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამის კომპეტენციები და სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოშობა, ბიოლოგია და ეკოლოგია; მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები; ნიადაგის ტიპები, მათი ძირითადი მახასიათებლები, ნიადაგის ნაყოფიერება და დამუშავების მეთოდები; მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების გამომწვევ პათოგენთა დამახასიათებელი (სისტემატიკური) ნიშნები და ონთოგენეზი. ჰერბიციდების, პესტიციდების, ფუნგიციდების გამოყენების დოზები და ვადები. თესლბრუნვის დაგეგმვის მეთოდები; სარეველათა ეკოლოგია. ამ ცოდნის საფუძველზე ბაკალავრი შეძლებს მოიყვანოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, უზრუნველყოს ისინი საკვები

ნივთიერებებით და ტენით, დაიცვას მავნებლებისაგან და დაავადებისაგან, შეინარჩუნოს ნიადაგის ნაყოფიერება. მას შეეძლება მეურნეობის საწარმოო სისტემის დაგეგმვა ნიადაგური და კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ახალი ტექნოლოგიების გამოცდა-დანერგვა, მეურნეობის მართვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან ინტეგრირებული დაცვის უსაფრთხო ღონისძიებების შერჩევა, აგროცენოზებში ბუნებრივად არსებული ბიოაგენტების რეზერვების გამოვლინება და მათი ეფექტიანად გამოყენება, პრევენციული ზომების გატარება კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და გენეტიკური კანონზომიერებების მიხედვით. შეისწავლის ორგანული სოფლის მეურნეობის პრინციპებს, ბიოპროდუქციის წარმოებისა და სერტიფიცირების საკითხებს ორგანულ სოფლის მეურნეობაში. აგრეთვე ეცოდინება დახურული გრუნტის თავისებურებები და ექნება ზოგადი ცოდნა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესახებ.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

დარგობრივი კომპეტენციები:

- ეცოდინება მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებები, მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები
- შეეძლება ბიოცენოზზე, ეკოსისტემაზე და ბიოსფეროზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორების გამოვლენა და მათი გავლენის შეფასება
- ეცოდინება მცენარეთა დაცვის ზოგადი პრინციპები
- ეცოდინება ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების შეფასება; ნიადაგის დამუშავება და მისი ნაყოფიერების მართვა

- შეეძლება ნიადაგური და კლიმატური პირობების ექსტრემალური მდგომარეობის დადგენა და დაკავშირება კონკრეტული მცენარეების ზრდა- განვითარებასთან
- ეცოდინება ბოსტნეული და ბაღჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროწესები
- ეცოდინება ხეხილოვანი, კენკროვანი, კაკლოვანი და მშრალი სუბტროპიკული კულტურების ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებები
- ეცოდინება ვაზის კულტურის ბიოეკოლოგიური და სამეურნეო თავისებურებები
- ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიები
- ეცოდინება ორგანული სოფლის მეურნეობის ზოგადი პრინციპები
- შეეძლება აგრონომიის საკითხებზე ინფორმაციული მასალის მოძიება და ანალიზი, პრობლემის დაყენების და გადაჭრის შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება
- შეეძლება არსებული პრობლემის შეფასება და მისი აღწერა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით
- გაცნობიერებული ექნება აგრონომიის მნიშვნელობა ბუნებრივი და აგროეკოსისტემების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ეცოდინება საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების (მათემატიკა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები) საფუძვლები
- ეცოდინება მცენარეთა გენეტიკის, მცენარეთა სელექციის, მცენარეთა ბიოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ზოგადი ბიოქიმიის ძირითადი პრინციპები
- ეცოდინება ეკოლოგიური ფაქტორები და მათი მოქმედება ეკოსისტემაზე; üეცოდინება მცენარეთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის და შეფასების ძირითადი მეთოდები
- ეცოდინება მეთესლეობისა ზოგადი პრინციპები
- ეცოდინება ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპები
- ეცოდინება მცენარის, როგორც ფესვური ისე ფოთლოვანი კვებისა და მისი დიაგნოსტიკის საკითხები
- ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითადი მავნებელ- დაავადებები და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებები
- ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო დარგების საწარმოო პრინციპები (მიწათმოქმედება, მემცენარეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, საკვებწარმოება და სხვ.)

- ეცოდინება სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტენდენციების, ახალი ინოვაციური მიმართულებების საფუძვლები (ორგანული სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ბიოტექნოლოგია)
- ეცოდინება სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობის პრინციპები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ნაკვეთისა და კულტურის შერჩევა
- შეეძლება დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება ოპტიმალურ კალენდარულ აგროვადებში
- შეეძლება თესლბრუნვების სისტემის შედგენა
- შეეძლება ნიადაგის სწორედ დამუშავება, თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარება
- შეეძლება ნიადაგის ნაყოფიერების მართვისა და დაცვის ღონისძიებების ჩატარება
- შეეძლება მინდორში და ბაღში ნიადაგის დამუშავების, განოყიერების სისტემის, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების, მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზება
- შეეძლება სასოფლო-სამეურნეო მავნებლების იდენტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა
- შეეძლება მავნებლის კონკრეტული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
- შეეძლება მცენარეთა დაავადებათა დიაგნოსტირება, ინტეგრირებული მართვის სისტემის დაგეგმვა და განხორციელება
- შეეძლება მცენარეთა რეპროდუქციულ თავისებურებების გათვალისწინებით, მათი სელექციის მეთოდების შერჩევა და ახალი ჯიშების მოსავლიანობაზე გამოცდა

დასკვნის უნარი:

- შეეძლება ფერმერული მეურნეობების პროფილის მიხედვით სწორი დასკვნების გაკეთება კულტურათა ინტენსიფიკაციასა და მოსავლიანობის გაზრდაზე
- შეეძლება კონკრეტული წარმოებისათვის ჯიშების შერჩევა და მათი გამოცდის შედეგების საფუძველზე საუკეთესოს გამორჩევა
- შეეძლება ნიადაგების შესახებ და მათ აქტუალურ პრობლემებზე არგუმენტირებულად მსჯელობა
- შეეძლება ადგილობრივი აგროკლიმატური და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევა, ვეგეტაციის პროცესში წარმოქმნილი ამოცანების გაანალიზება, დასკვნის გამოტანა და საჭირო გადაწყვეტილებების მიღება
- შეეძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტუალურ პრობლემებზე ლოგიკურად მსჯელობა, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება;

- შეეძლება მცენარეზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების, შეფასება და დასკვნების გაკეთება

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება პროფესიული საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობა
- შეეძლება საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა პროფესიული აუდიტორიის წინაშე
- შეეძლება გუნდურად მუშაობა

სწავლის უნარი:

- შეეძლება დარგის ამოცანების და მეთოდების განსაზღვრა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, საფუძვლიანი დამუშავება და მიღებული ახალი ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ცოდნის გაღრმავება
- შეეძლება სწავლის პროცესის წარმართვა და დაგეგმვა
- შეეძლება დროისა და სასწავლო რესურსების ეფექტური მართვა

ღირებულებები:

- გაცნობიერებული ექნება თითოეული აგრო-ღონისძიების მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევის, წარმოების და მოსავლის აღების მიმართულებით
- გაცნობიერებული ექნება საკუთარი პროფესიის მნიშვნელობა გარემოსადმი ნაკლებად მავნე მეთოდებით ჯანსაღი პროდუქციის წარმოების სფეროში
- გაცნობიერებული მცენარეთა გენეტიკური რესურსების (კულტურულ მცენარეთა ველური წინაპრების, ხალხური სელექციისა და თანამედროვე ჯიშების) დაცვისა და გამოყენების აუცილებლობა სოფლის მეურნეობის მდგრადობისათვის
- გაცნობიერებული ექნება თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველყოფა

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- მიმართულების ზოგადი განათლება
- მიმართულების საბაზო განათლება
- აგრონომიის ძირითადი განათლება
- პრაქტიკული განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.